ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 50

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 14 თებერვალი 2019 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - ,,ხელშეკრულება") – ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების" საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში ^- ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს,. რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022 – (შემდგომში - ,,შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზურაბ სეხნიაშვილის სახით

და მეორე მხრივ ფ/პ „გიორგი ჩალაური", რომლის რეკვიზიტებია: ს/კ 454411164, სს „თი ბი სი ბანკი ", ბ/კ TBCBGE22 ა/აGE49TB7307145061600007 - შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: CPV-50531100 ქ.დუშეთის N1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალისთვის გათბობის დაზიანებული ქვაბის შეკეთების მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3.2 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი მომსახურების ღირებულება შეადგენს: 2125 (ორი ათას ას ოცდახუთი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა) მომსახურება მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული მომსახურების ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" წარმოდგენის შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

8. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ ორი წლის განმავლობაში მის მიერ მიწოდებული მომსახურება არ გამოავლენს ხარვეზებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2019 წლის 25 მარტი.
18.2 მომსახურების მიწოდების ვადაა: –2019 წლის 22 თებერვალი.
18.3 საგარანტიო პირობების ნაწილში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება საგარანტიო მოქმედების ვადის განმავლობაში.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსყიდველი:

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი /ზ. სეხნიაშვილი/

Dusheti Municipality Digitally signed by Dusheti Municipality Date: 2019.02.14 17:49:04 +04'00'

მიმწოდებელი:

ფ/პ „გიორგი ჩალაური“ /გ. ჩალაური/

^იურისტი:

KA990133832784219

174/08

25 / იანვარი / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბ.ნ ზურაბ სეხნიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის
სამეურნეო–ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის გია ჭონქაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ რომ, დუშეთის მუნიციპალიტეტის N1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრში მწყობრიდან გამოვიდა ცენტრალური გათბობის ბოილერი (ქვაბი), რომლის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭიროა 2040 ლარი, გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს (საფინანსო და შესყიდვები) შემდგომი რეაგირებისათვის.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გია ჭონქაძე

სამეურნეო–ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

KA990139257139719

214/06

31 / იანვარი / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ბატონ გიორგი თანიაშვილს
დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დავით შაბურიშვილის

მოხსენებითი ბარათი

მ/წლის 28 იანვარს, თქვენი რეზოლუციით დაგვეწერა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გია ჭონქაძის 2019 წლის 25 იანვრის N174/08 მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხება ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" N1 ფილიალში მწობრიდან გამოსული ცენტრალური გათბობის ბოილერის (ქვაბი) სარემონტო სამუშაოებს, რისთვისაც საჭიროა 2040 ლარი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით საბავშვო ბაღების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, შესაძლებელია ზემოთაღნიშნული სამუშაოების დაფინანსება.

გთხოვთ, შემდგომი რეაგირებისათვის მოხსენებითი ბარათი გადააწეროთ მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

დავით შაბურიშვილი

295/09

KA990165487298019

11 / თებერვალი / 2019 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ზურაბ სეხნიაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი
მოწყობის,ინფრასტრუქტურის განვითარების,
არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის
(კონკურსამდე) იოსებ ღარიბაშვილის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ჩვენი სამსახურის წარმომადგენლებმა ინფრასტრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა სპეციალისტებმა შალვა ველთაურმა და გივი წოწკოლაურმა ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის №1 ფილიალის დირექტორთან მარიამ ოქრუაშვილთან და მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნე-ტექნიკური განყოფილების უფროსთან გია ჭონქაძესთან ერთად დაათვალიერეს ცენტრის № 1 ფილიალის ცენტრალური გათბობის დანადგარი. დათვალიერებით დადგინდა, რომ არ მუშაობს გათბობის ქვაბი და საცირკულაციო ტუმბო.

წარმოგიდგენთ დათვალიერების აქტს.

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოსებ ღარიბაშვილი

ქ. დუშეთი

7 თებერვალი 2019 წ.

დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ი ს ა ქ ტ ი

სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დუშეთის N 1 ფილიალის ცენტრალური გათბობის დანადგარის (ქვაბის) დათვალიერების თაობაზე.

დათვალიერებას ესწრებოდნენ: N1 ფილიალის დირექტორი მ. ოქრუაშვილი, სამეურნეო ტექნიკური განყოფილების უფროსი გ. ჭონქაძე, ინფრასრუქტურის განვითარების, რეაბილიტაციის და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი სპეციალისტები: შ. ველთაური, გ. წოწკოლაური.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა:

მწყობრიდანაა გამოსული და არ მუშაობს ცენტრალური გათბობის ქვაბი და საცირკულაციო ტუმბო

1. / მ. ოქრუაშვილი /

2. / გ. ჭონქაძე /

3. / შ. ველთაური /

4. / გ. წოწკოლაური /

7. 02. 2019 წ.

ა ქ ტ ი

— ——.2019წ.

წინამდებარე აქტი შედგენილია, ერთის მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების უფროსი გია ჭონქაძის და დუშეთის მუნიციპალიტეტის N1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორის მარიკა ოქრუაშვილის,ხოლო მეორეს მხრივ, ფიზიკური პირის გიორგი ჩალაურის მიერ (პირ N 59001088280), მასზედ რომ 2019 წლის თებერვლის თვეში ფ/პირმა გიორგი ჩალაურმა შეაკეთა N1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ცენტრალური გათბობის ბოილერი (ქვაბი) და წყლის ტუმბო.რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 2125 ლარი.

წარმოგიდგენთ გახარჯული საქონლის ჩამონათვალს :

1. გათბობის ქვაბის პლატა - 700 ლარი.
2. საწყისი (სტარტი) ბლოკი - 250 ლარი.
3. ტუმბოს მართვის მექანიზმი - 500 ლარი
4. . კონდესატორი - 325 ლარი
5. . მომსახურება - 350 ლარი.

აქტი შედგენილია ჩვენს მიერ და ვაწერთ ხელს

ჩ ა ა ბ ა რ ა:

ფიზიკური პირი. /გიორგი ჩალაური/

ჩ ა ი ბ ა რ ე ს:

სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების

უფროსი: /გია ჭონქაძე/

N1 სკოლამდელი აღზრდის ცენტრის

დირექტორი: /მარიკა ოქრუაშვილი/

Georgia IDENTITY CARD

საქართველო

GE

სახელი / FIRST NAME
გიორგი
GIORGI

გვარი / LAST NAME
ჩალაური
CHALAURI

მოქ. / CIT. GEO
სქესი / SEX 88 / M
პირადი No / PERSONAL No 59001088280

დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH 01.08.1988

მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY 12.08.2026

ბარათის No / CARD No 15IE13175

ხელმოწერა
SIGNATURE

CPV-50531100



დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
ზუგდიდი
GORI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
12.08.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGE015IE13175759001088280<<<<
8808017M2608123GEO<<<<<<<<<<<3
CHALAURI<<GIORGI<<<<<<<<<<<<<<

ლარის ანგარიშის რეკვიზიტები

სს თიბისი ბანკი

საბანკო კოდი - TBCBGE 22

მიმღების დასახელება - გიორგი ჩალაური

ანგარიშსწორების ანგარიში - GE49TB7307145061600007

FOR GEL TRANSFERS

JSC TBC Bank

BANK CODE - TBCBGE 22

NAME OF BENEFICIARY - Giorgi Chalauri

BEN' S ACCOUNT - GE49TB7307145061600007

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. დუშეთი 14.02.2019 წელი

მე, ქვემოთ ხელის მომწერი, ვადასტურებ, რომ აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში (ხელშეკრულება N 50 14.02.2019 წ.) მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სამეურნეო-ტექნიკური განყოფილების
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

/გ. ჭონქაძე/